OSCE/ODIHR Election Observation Mission
Parliamentary Elections, 21 May 2008
Sheraton Metechi Palace Hotel
20, Telavi Street, 0130 Tbilisi
Tel: (+995 32) 487841, Fax: (995 32) 487842
office@odihr.ge

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი აგზავნის მისიას საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად

ვარშავა/თბილისი, 2008 წლის 10 აპრილი – დღეს, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი იწყებს არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას, რომელიც დააკვირდება 2008 წლის 21 მაისს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. მისიის გამოგზავნა საქართველოს მთავრობის მოწვევის საფუძველზე მოხდა.

მისიას ხელმძღვანელობს ელჩი ბორის ფრლაიცი (სლოვენია). მისია შედგება 14 ძირითადი თანამშრომლისაგან, რომლებიც დაფუძნებულნი არიან თბილისში და ასევე 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან, რომლებიც იმუშავებენ ქვეყნის მასშტაბით. დამატებით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისმა მოიწვია 350 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთოს წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც უშუალოდ 21 მაისის არჩევნებამდე ჩამოვლენ. ისინი მონიტორინგს გაუწევენ საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემის პროცესს, ბიულეტენების დათვლასა და შედეგების შეჯამებას.

მისია საარჩევნო პროცესს შეაფასებს დემოკრატიული არჩევნების ეუთოს ვალდებულებებთან შესაბამისობაში, ასევე, სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში. ის საფუძვლიანად დააკვირდება საარჩევნო კამპანიას, მედიის მიერ პროცესების გაშუქებას, საკანონმდებლო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოქმედებას, მდგომარეობას მედიაში, საარჩევნო ადმინისტრაციისა და შესაბამისი სახელისუფლებო უწყებების საქმიანობას და არჩევნებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია და ეუთოს მისია საქართველოში მოქმედებენ დამოუკიდებლად ინდივიდუალური მანდატების საფუძველზე.

For further information please contact Rasto Kuzel, the ODIHR election observation mission in Georgia, Sheraton Metechi Palace Hotel, 20, Televi Street, 0130, Tbilisi, mobile +99595 238 542, tel. +995 32 487 841, fax +995 32 487 842